

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი

საგარეო სამსახური

ბრძანება

№109

2016 წლის 10 თებერვალი

ქ.ლაგოდები

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ კვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებებისა და სახედრო სამსახურის შესახებ“ 22-ე, 24-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 თებერვლის N 46 „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. 1989-1998 წ/დ ჭაბუკთა საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვევა განხორციელდეს 2015 წლის პირველი თებერვლიდან 2016 წლის 30 ივნისამდე.

2. საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნას 1989-1998 წ/დ წვევამდელები, რომლებსაც არ აქვთ გადავადება სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან ან განთავისუფლების უფლება.

3. „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიქმნას „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის გამწვევი კომისია“ დანართის შესაბამისად.

4. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 თებერვლის „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ დადგენილების მაღაში შესვლის დღიდან, ვალდებული არიან, გამოცხადდნენ ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში“, გამოცხადებულ უწყებაში აღნიშნულ დროს.

5. ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური“ ვალდებულია, სამედიცინო კომისიაზე გამოცხადებული, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი და გაწვევას დაქვემდებარებული წვევამდელები გადაიყვანოს საქართველოს შემკრებ - გამანაწილებელ პუნქტში წვევამდელთა გამოცხადების გრაფიკის მიხედვით.

6. დაევალოს შ.ს.ს. ლაგოდების რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს“ იმ წვევამდელების მოძებნასა და სამედიცინო კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.


7. დაევალოს ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის „საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის“ უფროსისს მოვალეობის შემსრულებელს გა

კუდაშვილს, გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სათანადო ფულადი სახსრების გამოყოფა გაწვევის ჩასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

8. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



ქოთო ჯამბურია